MEMBER OF WISSOL GROUP

ს/ს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია
J.S.C. WISSOL PETROLEUM GEORGIA

16.06.2023

#06/39

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვა-რეალიზაცია. აღნიშნული მიზნით კომპანია ოპერირებას უწევს, როგორც ნავთობპროდუქტების საცავს/ნავთობბაზას, ისე ქვეყნის სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებულ ავტოგასამართ სადგურებს.

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" ერთ-ერთი ავტოგასამართი სადგური (შემდგომში - აგს) მდებაროებს ქ. ხონში, მოსე ხონელის ქუჩაზე. ავტოგასამართი სადგური, შესაბამისი აღჭურვილობით მოწყობილია წლების წინ (2005 წ), რომელიც 2020 წლიდან სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" მფლობელობაშია.

მოწყობის დღიდან, ობიექტის კუთვნილ ტერიტორიაზე განთავსებული იყო 3 ერთეული მიწისქვეშა ნავთობპროდუქტების რეზერვუარი. 2023 წლის თებერვლის თვეში სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" გადაწყვეტილებით ობიექტზე განხორციელდა დამატებით კიდევ ერთი მიწიქვეშა რეზერვუარის მოწყობა (დიზელის საწვავისთვის). ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარის მოწყობა განხორციელდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" განსაზღვრული პროცედურის გავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების გარეშე. შედეგად - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

ზემოაღნიშნული გარემოებისა და საკანონმდებლო მოთხოვნათა საფუძველზე შემუშავდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. ქ. ხონში, მოსე ხონელის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა ექსპლუატაციაზე სკრინინგის ანგარიშის ელ.ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„19" 06 2023
№ 5601

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი

ვასილ ხორავა